

პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართულ საკვირაო სკოლებისათვის

შესავალი

ყოველ გაკვეთილზე მოსწავლეები მიიღებენ სხვადასხვა სახის ინფორმაციას, შეასრულებენ რამდენიმე ტიპის დავალებას, რითაც განივითარებენ და განიმტკიცებენ საკომუნიკაციო ენობრივ უნარ-ჩვევებს.

ნიმუშად გთავაზობთ შვიდი შეხვედრის შედარებით ვრცელ გეგმას, რასაც მოსდევს ენობრივ საკითხთა, ზეპირი და წერიტი კომუნიკაციისათვის საჭირო უნარ-ჩვევათა ჩამონათვალი; საკითხავი მასალის სავარაუდო ნუსხა და რეკომენდებული ლიტერატურა მასწავლებელთათვის.

I კვირა

საკომუნიკაციო ამოცანა:

გავიცნოთ ერთმანეთი

1. სხვადასხვა ენობრივ კონსტრუქციათა შენაცვლება ერთი და იმავე მნიშვნელობის გამოსახატავად (მაგ., მე მქვია გიორგი / მე ვარ გიორგი / ჩემი სახელია გიორგი / მე გახლავართ გიორგი).
2. კითხვის დასმა: შენ რა გქვია? რამდენი წლისა ხარ? სად დაიბადე?
3. პასუხის (მოკლე / ვრცელი) გაცემა: მარიამი / მე მქვია მარიამი / ჩემი სახელია მარიამი / მე გახლავართ მარიამი.
4. ქართულ ენაში ჯერ სახელი წარმოითქმება და იწერება, შემდეგ – გვარი: მე ვარ ლევან ჯაფარიძე.
 - ა. ანბანთრიგზე წარმოდგენილ სივრცეში ჯერ გვარი იწერება, შემდეგ – სახელი, თანხმოდგენილი სახელი ასეთი რიგის შემთხვევაშიც ფუძის სახით უნდა გამოვიყენოთ: ჯაფარიძე ლევან; აბაშიძე მარიამ და არა ჯაფარიძე ლევანი; აბაშიძე მარიამი.

- ბ. თუ სახელისა და გვარის გვერდით მამის სახელიც უნდა ვახსენოთ, მაშინ შემდეგი თანმიმდევრობა უნდა დავიცვათ – ლევან გიორგის ძე ჯაფარიძე; მარიამ თორნიკეს ასული აბაშიძე, სიებსა და ანკეტებში: ჯაფარიძე ლევან გიორგის ძე; აბაშიძე მარიამ თორნიკეს ასული. გვახსოვდეს: სიტყვები ძე და ასული დამოუკიდებლად იწერება!
5. ლექსიკური მარაგის გამდიდრება: ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები და მათი მართლწერა;
- ა. სინონიმურ ლექსემებზე ყურადღების გამახვილება, მათი ჩანაცვლება ერთსა და იმავე კონტექსტში ან რომელიმესათვის უპირატესობის მინიჭება მაგ., შვილი / ვაჟი / ვაჟიშვილი / ძე.
- ბ. რთულფუძიანი სახელების მართლწერა – შერწყმულად იწერება: დეიდაშვილი, ბიძაშვილი, მამიდაშვილი, შვილიშვილი... დედაჩემი, მამაშენი... დეფისით უნდა ვწეროთ: დედ-მამა, და-ძმა, ბიძაშვილ-მამიდაშვილი, ბებია-ბაბუა...

საკითხავი მასალა

„დედის დარიგება“ – გიორგი ჭალადიდელი;

„მამულს გული გაუხარე!“ – ჯანსუღ ჩარკვიანი;

„მოხუცის დარიგება“ – იოსებ გრიშაშვილი

* ამ ლექსების მიხედვით შესაძლებელია მიმართვასთან დაკავშირებულ პუნქტუაციის წესებზე საუბარი:

1. მერწმუნე, შვილო, გამოცდილია...

2. ჩემო ბაბლო,

ჩემო შვილო,

ჩემო ნორჩო მეგობარო,

გთხოვ,

მოხუცის დარიგება

ანდერძით

მიიბარო!

** მოცემული ტექსტების ანალიზისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ უფროსებისა და უმცროსების ურთიერთობაზე, შეიძლება ენობრივ ეტიკეტზე, კერძოდ, თავაზიანობის ლექსიკასა და ფრაზეოლოგიაზე.

II კვირა

საკომუნიკაციო თემა:

სამშობლო

1. რა არის სამშობლო;
გვიამბეთ საქართველოზე, თქვენი მშობლების, წინაპრების
სამკვიდრებელზე.
2. დაახასიათეთ ქართველები, დაასახელეთ მათი ის თვისებები,
რომლებიც განსაკუთრებულად მიგაჩნიათ.

საკითხავი მასალა

„საყვარელი სამშობლო“ – დუტუ მეგრელი;

„საქართველო და მისი ნაწილები“ (იაკობ გოგებაშვილის მიხედვით);

„ჩემი სამშობლო“ – ლადო ასათიანი;

„მამულის სიყვარული“ (ავაჟკაცსა უნდა უყვარდეს / მამული, თავის ერია...) –
ხალხური

III კვირა

საკომუნიკაციო თემა:

მშობლიური ენა მეტია, ვიდრე ენა

1. ადამიანები ენის საშუალებით გამოხატავენ თავიანთ აზრებს,
განცდებს, სურვილებს, გადასცემენ მათ ერთმანეთს და ამყარებენ
ურთიერთობას. დედამიწაზე ათასობით ენაა და თითოეული
ვიდაცისთვის მშობლიურია, განსაკუთრებით ახლობელი და
საყვარელი. ადამიანისათვის ერთი ენა ყოველთვის გამორჩეულია,
ის მისი დედაენაა!
2. „გარდაუვალი წესია: ერთი თაობა მიდის, მეორე მოდის... ხალხი
კი უკვდავია. უკვდავია მისი ენაც, თუკი მას ხალხმა ზურგი არ
შეაქცია; ენა თაობიდან თაობას გადაეცემა და მისი წყალობით ეს
თაობები ერთ ხალხად ითქმის: ხალხის მეობას მისი ენა
გვანიშნებს.

ენის საშუალებით გადაეცემა შემდგომ თაობას, რაც წინა თაობას ცოდნა-გამოცდილება დაუგროვებია. ეს რომ არა, კულტურის განვითარება შეუძლებელი იქნებოდა.

ბუნებრივია, რომ ყოველ ადამიანს უყვარს თავისი ენა, უყვარს დედაენა.

ასევე ბუნებრივია სხვის ენას პატივისცემით ვეკიდებოდეთ: „სხვისი ენა“ აკი ვილაცისთვის დედაენაა“ (არნოლდ ჩიქობავა).

საკითხავი მასალა

„დედაენა“ – გიორგი ლეონიძე;

„დედაენა“ – იოსებ ნონეშვილი;

„მრავალჭირვარამგადანახადი“ – მუხრან მაჭავარიანი;

„რამდენი ენაა მსოფლიოში?“ „ქართული ენა“, „ყველას თავისი ენა უყვარს“ // ქართული ენის სამყარო – ა. არაბული, მოსწავლის წიგნი, სახელმძღვანელო მეხუთეკლასელთათვის, თბ., 2002, გვ. 4-9.

IV კვირა

სადისკუსიო თემა:

ქართული და სხვა ენები

1. – რა საერთო აქვს მსოფლიოში არსებულ 5 000-მდე ენას?
 - ყველა ენა ბგერებისაგან შედგება; ბგერები ქმნიან სიტყვებს, სიტყვები – წინადადებებს; წინადადებებით კი აზრები გადმოიცემა.
 - ყოველი ენა ასახავს იმ ადამიანთა სამყაროს, რომელთაც ის ეკუთვნის.
 - ყველა ენა უძველეს დროს არის წარმოშობილი.
 - ყოველი ენა ძვირფასია იმ ხალხისათვის, რომლისათვისაც ის მშობლიურია.
2. – რით განსხვავდებიან მსოფლიოს ენები ერთმანეთისაგან?
 - ყველა ენას თავისებური ჟღერადობა აქვს. ამის მიზეზია მათი განსხვავებული ბგერები, სიტყვების აგებულება, მეტყველების სისწრაფე...

- განსხვავებულია სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობა. თუ ზოგ ენაზე ასეულ მილიონობით ადამიანი ლაპარაკობს, ზოგი ენის მფლობელთა რიცხვი ასი ათასსაც ვერ აღწევს.
- მრავალრიცხოვან ხალხთა ენებს მსოფლიოში მეტი გავლენა აქვს; ისინი ხელს უწყობენ კაცობრიობის კულტურისა და ცივილიზაციის საყოველთაო გავრცელებას. ამავე დროს, ზოგი მცირერიცხოვანი ხალხის ენის ასპარეზი დღეს ძალზე შეზღუდულია; ამ ენებს გადაშენების საფრთხე ემუქრება.

3. – მართლა შეიძლება თუ არა, რომ ენა გადაშენდეს?

- კაცობრიობის ისტორია არაერთ ასეთ შემთხვევას იცნობს. მაგალითად, ჩვენამდე მოაღწია უძველესი ხალხის – შუმერების – ნაწერებმა, მათმა კულტურამ; მათი ენა კი დღეს აღარ არსებობს. ასეთ ენებს „მკვდარ ენებს“ ეძახიან!
- თანამედროვე მსოფლიო დიდ ყურადღებას აქცევს ყველა ენის დაცვასა და შენარჩუნებას.

ყოველი ენა ხომ კაცობრიობის სიმდიდრეა!

(ა. არაბული, ქართული ენის სამყარო, სახელმძღვანელო მეხუთეკლასელთათვის, თბ., 2002, გვ. 4).

4. ქართული ენა ქართველთა დედაენაა, ამიტომ ის მათთვის ყველაზე ახლობელი, ყველაზე ლამაზი და საყვარელია.

საკითხავი მასალა

„ბაბილონის გოდოლი“, „ვინ არის ქართველთა ნათესავი?“, „ხატოვანი გამონათქვამი – „ბაბილონის გოდოლი“ – ა. არაბული, ს. ოშიაძე, მ. უთურგაიძე, ქართული ენის სამყარო, სახელმძღვანელო მეექვსეკლასელთათვის, თბ., 2004, გვ. 4-5).

V კვირის თემა:

ქართული სალიტერატურო ენა და დიალექტები

1. ქართული ენა სასაუბრო ენაცაა და სამწერლობოც. სამწერლობო ენას **სალიტერატურო ენა** ჰქვია. დღეს ყველა ქართველი სალიტერატურო ქართულით მეტყველებს, ამ ქართულით იწერება და გამოიცემა წიგნები, იბეჭდება ჟურნალ-გაზეთები, სახელმძღვანელოები, მეცნიერული გამოკვლევები, მზადდება ტელერადიოგადაცემები, ისწავლება სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

2. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შინაური ურთიერთობისას თავისებურად მეტყველებენ: ქართლში – ქართლურად, იმერეთში – იმერულად, სამეგრელოში – მეგრულად, გურიაში – გურულად, კახეთში – კახურად, თუშეთში – თუშურად, სვანეთში – სვანურად, რაჭაში – რაჭულად... მაგრამ ყველა კუთხის ქართველთა გამაერთიანებელია დიდი **ქართული ენა**. ქართული ენა ქართველთა დედაენაა. როგორც ყველა კუთხის მკვიდრთა საერთო სახელი არის **ქართველი**, როგორც მათი საერთო სამშობლო არის **საქართველო**, ასევე – საერთო ენა არის **ქართული ენა**.

3. ამა თუ იმ კუთხის მცხოვრებთა მეტყველება მეტ-ნაკლებად განსხვავდება სალიტერატურო ენისაგან. შემდეგ წყვილებს თუ დაუკვირდებით, ამ განსხვავებას ნათლად დაინახავთ, წყვილთა პირველი ცალეები კუთხური მეტყველების ნიმუშებია, მეორე კი – სალიტერატურო ენისა: ბოვში – ბავში; ცხორი – ცხვარი; ბატარა – პატარა; აფერი – არაფერი; რაცხა – რაღაცა, ვიცხა (/ ვინცხა) – ვიღაცა, მევიდა – მოვიდა; წვილო – წაიღო; რეიზა – რატომ ...
 კუთხურ მეტყველებას **დიალექტი** ანუ **კილო** ჰქვია.
 „გულს მისვენია ხატადა
 ენა მთისა და ბარისა,
 მე არც ერთ კილოს არ ვწუნობ,
 თუა ქართული გვარისა“, – ეს სიტყვები ვაჟა-ფშაველას ეკუთვნის. კუთხური მეტყველების ნიმუშები ხშირად გვხვდება მხატვრულ ლიტერატურაში, რადგანაც მათ მწერლები თავიანთი გმირებისა და გარემოს დასახატად იყენებენ. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ კუთხურად მეტყველება საზოგადოებაში (სკოლაში, სამსახურში, თეატრში,

ტრანსპორტში...) მიუღებელია. მიუღებელია იმიტომ, რომ ასე მეტყველება კულტურულ საზოგადოებას არ შეეფერება.

4. ქართული ენა საქართველოს სახელმწიფო ენაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული ენა ქვეყნის ერთიანობის საფუძველია, რომ ის ერთნაირად ეკუთვნის საქართველოს ყოველ მოქალაქეს და ყველას ერთნაირად ევალება მისი მოვლა.

„ერის ცხოვრება,

მისი დიდება,

მის ისტორია დაცულ არს ენით;

რა ენა წახდეს,

ერიც დაეცეს

წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!“ – გრიგოლ ორბელიანი.

„პირველი ნიშანი ერის ვინაობისა – ენაა.

ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“, – ილია ჭავჭავაძე.

5. ქართულ ენას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მსოფლიო ენათა შორის; ის მდიდარი და განვითარებული ენაა. ქართულ ენაზე არსებობს დიდი მწერლობა, მეცნიერება, საშუალო და უმაღლესი განათლება...

ქართულ ენას სწავლობენ და იკვლევენ როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში.

ქართული ძველი მწიგნობრული ენაა; მისი მწიგნობრობა თხუთმეტ საუკუნეზე მეტს ითვლის. მე-5 საუკუნის ქართული წარწერა ქრისტიანობის აკვანში – პალესტინაშიც კი არის აღმოჩენილი.

საკითხავი მასალა

„არწივი“ – ვაჟა-ფშაველა; დაგალება: ლექსში მოძებნეთ კუთხური მეტყველების მაგალითები და შეცვალეთ ისინი სათანადო სალიტერატურო ფორმით.

„როცა ენა დედასამშობლოს სწყდება“ – ა. არაბული, ს. ომიადე, მ. უთურგაიძე, ქართული ენის სამყარო, სახელმძღვანელო მეექვსეკლასელთათვის, თბ., 2004, გვ. 14-15).

VI კვირის თემა:

იაკობ გოგებაშვილი და „დედა ენა“

იაკობ გოგებაშვილის უპირველესი საზრუნავი მოზარდთა აღზრდა და განათლება იყო. მან ყმაწვილთათვის შექმნა სახელმძღვანელოები: „ბუნების კარი“, „დედა ენა“, „რუსსკოე სლოვო“. გამოსცა საბავშვო საკითხავი წიგნები: „საყმაწვილო კონა“, „კოკორი“, „აკიდო“, „ხომლი“, „კუნწულა“. შექმნა და გადმოაკეთა 130-ზე მეტი საბავშვო ნაწარმოები. იგი ებრძოდა მაშინდელ სასწავლებლებში გამეფებულ მკაცრ რეჟიმს, ილაშქრებდა მოსწავლეთა ფიზიკური დასჯის წინააღმდეგ. გაკვეთილების უაზრო დაზეპირების ნაცვლად შემოქმედებით აზროვნებას ითხოვდა. ყოველივე ამის გამო მასწავლებლობა აუკრძალეს, სასწავლებლიდან დაითხოვეს, მაგრამ მას უკან არ დაუხევია. აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. მონაწილეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებაში, ამ საზოგადოების პროგრამათა შედგენაში, ხალხური შემოქმედების შეგროვება იქნებოდა, თუ სახალხო სკოლებისა და ბიბლიოთეკების გახსნა.

აი, რას წერს ქართველი საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია თავის წერილში „სამშობლოს მოამაგე და ჭირისუფალი“:

„იაკობ გოგებაშვილს ბედმა არგუნა გამოსულიყო საზოგადო სამსახურის ასპარეზზე იმ დროს, როცა მის გარშემო წყვედიადი არსებობდა, ჰკუთვნებოდა ქართველ მოაზროვნე საზოგადოების იმ მცირე ჯგუფს, რომელსაც წილად ჰხვდა დაარსება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“... ეს ის დრო იყო, როდესაც მშობლიური ენა დევნილი იყო სკოლებში, პატივყარილი ოჯახებში; არისტოკრატებს ერცხვინებოდა ქართულად ხმის ამოღება, თავისმოსაწონად მიაჩნდა რუსულად ლაპარაკი, თითზე ჩამოსათვლელი ინტელიგენცია რუსულად ფიქრობდა, რუსულადვე მეტყველებდა... ქართული ენის შესასწავლად ორგვერდიანი ნაბეჭდი ანბანი არსებობდა...

და აი, ასეთს განწირულების დროს გამოდის იაკობ გოგებაშვილი თავისი „დედა-ენით“ და ცდილობს იმის საშუალებით შევიდეს სკოლებში ქართული ენა, მოწაფეს მშობლიური ენის შეთვისების საფუძვლად „დედა-ენა“

ჰქონდეს, საძირკველი მის თვალის ახელას, გაადამიანებას „დედა-ენის“ საშუალებით ჩაეყაროს... თამამად შეიძლება ითქვას, რომ გოგებაშვილის „დედა-ენამ“, რომელიც პირველად გამოვიდა 1876 წელს, საძირკველი ჩაუყარა ქართული ენის გადარჩენას გამარუსებელი პოლიტიკის კლანჭებისაგან“.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა მრავალი თაობის აღმზრდელ „დედა-ენას“ ძეგლი აუგო.

საკითხავი მასალა

დავალება: გავიაზროთ იაკობ გოგებაშვილის შემდეგი სიტყვები და ვიმსჯელოთ მათს მნიშვნელობაზე:

1. „დედაენა არის ძვირფასი საღარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიაც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა და რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელი ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერი ღონით და მხნეობით“.
2. „დედაენა არის ღერძი, რომელზედაც მიგორავს ეტლი ერის წარმატებისა. დააზიანეთ ეს ღერძი და ეტლი უკან ჩამორჩება სხვა ერის ეტლსა. გატყეხეთ და იგი ერთ ალაგას გაშეშდება“.
3. „მხოლოდ დედაენა არის ენა გულისა, გრძნობისა; სხვა ენა აქ უძღურია. მხოლოდ დედაენაზე შეიძლება ილოცოს ადამიანმა გულმხურვალედ“.

„**იაკობ გოგებაშვილი**“ – გიორგი კაჭახიძე; დავალება: თქვენი სიტყვებით გადმოცით ლექსის შემდეგ სტრიქონებში გამოთქმული აზრი:

„თავის ტურფა სამშობლოში დედაენის ბურჯად იდგა:

მისი კალმით, მისი ზრუნვით ენა ბევრმა ამოიღვა“.

„ნეთელს ჰყენდა საქართველოს მისი ტკბილი „დედა ენა“.

***** როდესაც დედაენა მშობლიურ ენას აღნიშნავს, შერწყმულად იწერება, როდესაც იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოს სახელწოდებას, მაშინ – ცალ-ცალკე – „დედა ენა“.**

VII კვირის თემა:
ენა და გარემომცველი სამყარო.
სიტყვები ფორმას იცვლიან.
სახელობითი ბრუნვა.

აღამიანი სამყაროს ენის მეშვეობით შეიცნობს. ბავშვი ენის ამოდგმისთანავე იწყებს კითხვების დასმას: „ეს რა არის?“ „ამას რა ჰქვია?“ ამ კითხვების პასუხად ის თანდათან ეცნობა გარემოს.

რაც უფრო ფართოდება ჩვენი ცოდნა გარემომცველი სამყაროს შესახებ, მით უფრო მდიდრდება ჩვენი ენა, ახალი ცოდნის შექმნა ხომ იგივე ახალი სიტყვების შემატებაა.

- რისგან შედგება სიტყვები?
- რამდენი ბგერააა ქართულში?
- რამდენი ასოა ქართულ ანბანში?
- რამდენი ხმოვანი და რამდენი თანხმოვანია?
- რა აიგება სიტყვებით?

სიტყვებმა წინადადება რომ შექმნან, სათანადო ფორმით უნდა დაუკავშირდნენ ერთმანეთს. სახელების ფორმაცვალებას **ბრუნვა** ეწოდება.

როდესაც საგანს ვასახელებთ, მისი აღმნიშვნელი სიტყვა **სახელობით ბრუნვაში** დგას: სახლ-ი; კატა; კლდე; ჩაი; ღვინო; ბუ.

თანხმოვანფუძიანი სახელები სახელობით ბრუნვაში -ი ნიშანს დაირთავენ, ხმოვანფუძიანი სახელები კი ფუძის სახით, ყოველგვარი ნიშნის გარეშე, არიან წარმოდგენილი.

ერთნაირი საგნები რომ ერთად დავასახელოთ, ამისათვის არსებობს მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი ნიშანი –ებ, რომელიც სახელის მსოლობითი რიცხვის ფუძეს უნდა დავურთოთ: სახლ-ებ-ი; კლდე-ებ-ი; ბუ-ებ-ი.

საკითხავი მასალა

„იანანამ რა ჰქნა“ – იაკობ გოგებაშვილი; დავალება: ტექსტის კითხვისას ამოირჩიეთ საგნის აღმნიშვნელი ის სახელი, რომელიც ხშირად მეორდება და დააკვირდით მის ფორმაცვალებას.

ენობრივი საკითხები

ანბანი: ასოთა სახელები და რიგი;
ხმოვანი და თანხმოვანი ბგერები;
ბგერა და ასო; წერა და წარმოთქმა;
მარცვლის დახასიათება; სიტყვის დამარცვლა; გადატანის წესები;
ქართული დამწერლობის განვითარების საფეხურები.

სიტყვა – მნიშვნელობის მქონე უმარტივესი ერთეული.
სიტყვის მნიშვნელობა ცალკე და წინადადებაში;
მრავალმნიშვნელობიანი სიტყვები;
პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა;
სინონიმები – ენის სიმდიდრე;
ანტონიმები და მათი გამოყენება;
ომონიმები.

სიტყვათა კლასები (მეტყველების ნაწილები)

არსებითი სახელი: ყველაფერს, რაც სამყაროში არსებობს, არსებითი სახელი აღნიშნავს!

არსებითი სახელის ჯგუფები:
ვინ ჯგუფისა და რა ჯგუფის;
სულიერთა და უსულოთა;
საკუთარი და საზოგადო;
კონკრეტული და აბსტრაქტული;
კრებითი;
ნივთიერებათა;
მოქმედების სახელები;
კნინობით-აღერსობითი.

ბრუნება: ბრუნვები, მათი რიგი და ნიშნები;
სახელის ფუძე და ბრუნვის ნიშნები;
რა მოსდის სახელის ფუძეს ბრუნებისას: კვეცა; კუმშვა;
ბრუნვის ნიშანთა გავრცობა.

თანდებუდიანი ბრუნვები:

- ა) ადგილმდებარეობის გამომხატველი თანდებულები: -ზე; -ში; -
თან; -კენ; -დან; -მდე;
- ბ) დანიშნულებისა და მსგავსების გამომხატველი
თანდებულები: -თვის, -ვით; -ებრ.

თანდებულების განაწილება ბრუნვათა მიხედვით;
თანდებუდიან ფორმათა მართლწერა.

არსებით სახელის რიცხვი:

მხოლობითი და მრავლობითი;
ებ-იანი მრავლობითი და სახელის ბრუნება;
ძველებური მრავლობითის –ნ და –თ მაწარმოებლები, მათი განაწილება,
სახელის ბრუნება ნართანიან მრავლობითში;
მრავლობითი რიცხვის უქონელი არსებითი სახელები.

თანხმოვანფუძიან სახელთა ბრუნება:

ფუძეუკუმშველ სახელთა ბრუნება;
ფუძეუკუმშვად სახელთა ბრუნება;
თანხმოვანფუძიან სახელთა მართლწერის საკითხები.

ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნება:

ფუძეკვეცად სახელთა ბრუნება, შესაბამისი მართლწერის საკითხები;
ფუძეუკვეცელ სახელთა ბრუნება;
კუმშვად-კვეცად სახელთა ბრუნება.

საკუთარ სახელთა ბრუნება:

ადამიანის სახელთა ბრუნება;
ადამიანთა გვარების ბრუნება;
„ი“ ხმოვნით დაბოლოებული სახელები და გვარები;
გვარ-სახელის ერთად ბრუნება;
ინიციალები;
ცნობილ მოღვაწეთა გვარ-სახელები, ფსევდონიმები და შემოკლება.

ზედსართავი სახელი:

რაობა, კითხვები;
ვითარებითი (პირველადი /ძირეული) და მიმართებითი (მეორეული /
წარმოქმნილი) ზედსართავი სახელები;
მიმართებით (წარმოქმნილ) ზედსართავ სახელთა ჯგუფები შინაარსის
მიხედვით: ყოლა-ქონების, უყოლობა-უქონლობის, სადაურობის,
დანიშნულების (ზედსართავი და გაარსებითებული) და მათი
მაწარმოებლები;
ვითარებით ზედსართავ სახელთა ხარისხის ფორმები და მათი
წარმოება.

ზედსართავი სახელის ბრუნება:

დამოიკიდებელი ზედსართავი სახელის ბრუნება.

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება:

მსაზღვრელი – ზედსართავი, საზღვრული – არსებითი:
თანხმოვანფუძიანი წინმსწრები ზედსართავის ბრუნება არსებითთან
ერთად;

სმოვანფუძიანი წინმსწრები ზედსართავის ბრუნება არსებითთან ერთად;
ზედსართავის ბრუნება ებ-იან მრავლობითში დასმულ არსებითთან
ერთად;

თანსმოვანფუძიან და სმოვანფუძიან ზედსართავ სახელთა ბრუნება
ნართანიან მრავლობითში დასმულ არსებითთან ერთად.

პოსტპოზიციური წყობა: არსებითი სახელისა და მისი მომდევნო
ზედსართავი სახელის ერთად ბრუნება.

მსაზღვრელი – არსებითი, საზღვრული – არსებითი:

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება, როდესაც ორივე არსებითი სახელია;
მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება, როდესაც მსაზღვრელი ნათესაობით
ბრუნვაში დასმული არსებითი სახელია;

პოსტპოზიციური წყობა.

რიცხვითი სახელი:

რიცხვითი სახელის სამი სახეობა;

ქართული თვლის სისტემა;

რიცხვით სახელთა მართლწერა;

რიცხვით სახელთა ბრუნება;

რიცხვითი სახელი მსაზღვრელად.

ნაცვალსახელი:

ნაცვალსახელის ჯგუფები: პირის, ჩვენებითი, კუთვნილებითი; კითხვითი,
მიმართებითი, უარყოფითი, განუსაზღვრელობითი, განსაზღვრებითი,
ურთიერთობითი;

ნაცვალსახელთა თავისებური ბრუნება;

ნაცვალსახელებთან დაკავშირებული მართლწერის წესები.

ზმნა: ყველაფერს, რაც სამყაროში ხდება, ზმნა გამოხატავს!

მოქმედება და მოქმედი პირები: სუბიექტი და ობიექტი;

პირების შეწყობა;

პირისა და რიცხვის ნიშნები;

ზმნის ცვლა პირთა მიხედვით;

ზმნა და მოქმედების დრო;
ზმნის ფორმაცვალება – უღლება.

ზეპირი და წერითი კომუნიკაციისათვის საჭირო ენობრივი უნარ-ჩვევები

ენობრივი ეტიკეტი:

ქართული ენობრივი ეტიკეტის მიხედვით, მოსაუბრე საგანგებო კრძალვასა და პატივისცემას გამოხატავს მეორე პირისადმი, როგორც მიმართვის ადრესატისადმი, რისთვისაც ენაში კონკრეტული ფორმები და კონსტრუქციები არსებობს:

„თქვენობით“ მიმართვა, როგორც თავაზიანი მეტყველების ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულება;

თავაზიანობის ფორმულები: თავაზიანი მიმართვისას მუდამ ადრესატის პატივისცემის პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ და სათანადოდ შევარჩიოთ თავაზიანობის ფორმულები:

ყოფნა: (თქვენ) **ბრძანდებით – (მე) გახლაგართ (გახლდით)**

მოსვლა: **მობრძანდით – გეახელით (გეახლებით)**

ჭამა-სმა: **მიირთვიეთ – გეახელით (გეახლებით)**

აღება-მიცემა: **ინებეთ – მიბოძეთ**

თქმა: **(მი)ბრძანეთ – მოგახსენებთ**

*** უკანასკნელი წყვილის ცალები ზოგჯერ თავაზიან მეტყველებას კი არ გამოხატავენ, არამედ ტერმინოლოგიური მნიშვნელობა აქვთ შექმნილი. მაგალითად, როდესაც თანამდებობის პირი ხელქვეითებს მიმართავს, მის ნათქვამში – „საკითხი შეისწავლეთ და **მომახსენეთ**“ – „**მომახსენეთ**“ სავსებით სწორადაა ნახმარი და მოსაუბრის სოციალურ იერარქიაში უპირატესობის აღსანიშნავად გამოიყენება. იმავე დანიშნულებითაა ნახმარი ფორმა „**ვბრძანებ**“ შემდეგ წინადადებაში: „... ქალაქში დაბაბული ვითარების შექმნასთან დაკავშირებით **ვბრძანებ**: გამოცხადდეს კომენდანტის საათი ქ. თბილისში საღამოს 8 საათიდან დილის 6 საათამდე“.

ნება მიბოძეთ! (=ნება მომეცით) – ბრძანებითი კილოს ეს ფორმულა მხოლოდ პირველი პირის ფორმით არსებობს, ამიტომ შეცდომაა მისი სხვა პირებისათვის მისადაგება, მაგალითად, მიუღებელია მიმართვა – „ნება იბოძეთ!“, მის ნაცვლად უნდა გამოვიყენოთ რთული ზმნა – „**კეთილინებეთ!**“

მისაღმება-გამოთხოვების ენობრივი ფორმულები:

ქართული ენა ყოველდღიური ურთიერთობის სხვადასხვა შემთხვევაში ხმარებული ფორმულებიდან ყველაზე ხშირად სიტყვა **მშვიდობას** იყენებს:

აქა მშვიდობა! – ვინმესთან შინ სტუმრობისას (განსაკუთრებით, პირველად მისვლისას).

დილა მშვიდობისა! – დილით მისაღმებისას.

საღამო მშვიდობისა! – საღამოს მისაღმებისას.

მშვიდობით! – გამოთხოვებისას (მეტადრე – დიდი ხნით ან სამუდამოდ დაშორებისას).

ღამე მშვიდობისა! – ღამით გამოთხოვებისას.

გზა მშვიდობისა! – სამგზავროდ მიმავალთან გამოთხოვებისას.

მშვიდობაში! – ახალი შენაძენის, მათ შორის (და განსაკუთრებით) – ჩასაცმელის მილოცვისას.

საღამი! – რომელიც ქართული წარმოშობის ძირი არ არის, ასევე **მშვიდობის** სურვებას ნიშნავს.

გამარჯობა (ორსავე რიცხვში, თუმცა გამონაკლისის სახით დასაშვებად შეიძლება იქნეს მიჩნეული „გამარჯობათ“ ერთზე მეტი ან პატივისცემი პირისადმი მიმართვისას); **გაგიმარჯოს, გაგიმარჯოთ;**

ეტიკეტის ფორმულები – **საღამი, ბოდიში, კარგი, კეთილი** – დიალოგში ფართოდ იხმარება მეორე პირისადმი მიმართვისას. დაიმახსოვრეთ: რადგან არც ერთი მათგანი ზმნა არ არის, -თ ნიშანი მათ არ სჭირდებათ არც ნამდვილ მრავლობითში და არც თქვენობით, პატივისცემით მიმართვისას.

სწორი ფორმებია **შენი ჭირიმე და თქვენი ჭირიმე** (და არა „თქვენი ჭირიმეთ).

გენაცვალე – ზმნური წარმოშობის საალერსო ფორმულაა, ამიტომ მრავლობითის ფორმა – **გენაცვალეთ** – სავსებით კანონიერია.

ყოფითი ეტიკეტის მყარი გამოთქმები: მადლობა გადაუხადა; ბოდიში მოუხადა, მათი სინონიმური სიტყვები / გამოთქმები და მოსალოდნელ შეცდომათა პრევენცია.

სხვათა სიტყვის გადმოცემა:

სხვათა სიტყვის უცვლელად გადმოცემა: პირდაპირი ნათქვამი და მასთან დაკავშირებული მართლწერის წესები;

დიალოგი – პირდაპირი ნათქვამის ერთ-ერთი ფორმა;

სხვათა სიტყვის ირიბი ნათქვამის სახით წარმოდგენა:

ირიბი ნათქვამის ორი ფორმა: სხვათა სიტყვის „რომ“ კავშირითა და სხვათა სიტყვის ნაწილაკების საშუალებით გადმოცემა;

როდის გამოვიყენოთ ორმაგი უარყოფა:

შემთხვევები, როდესაც ცალმაგი და ორმაგი უარყოფა თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს და არჩევანი ჩვენს გემოვნებაზეა დამოკიდებული;

შემთხვევები, როდესაც ორმაგი უარყოფის გამოყენება აუცილებელია.

საკითხავი მასალა

ი. გოგებაშვილის ორიგინალური და მის მიერ გადამუშავებული ტექსტები:

მკევეხარა ქოთანნი;

პატარა ქალის ნატვრა;

მელია;

ერთგული პატარა ქალი;

ლოკოკინა და ხვლიკი;

ქალაღდმა თქვა;

და და ძმა;

დაკარგული ბავშვი;

ხარი და გუთანნი;

ალექსი და აქლემი;

უსუნო ყვავილი;

მუქთამჭამელა;
კატო და კატა;
ცხვირს მაღლა ვინ იწევს?
ბალი და ჩიტები;
დილის მზის სხივები;
საქართველო და მისი ნაწილები;
ცხრა ძმა ხერხეულიძენი;
სირცხვილის აშორება;
თავის განწირვა შვილებისათვის;
დავით აღმაშენებელი;
თამარ მეფე;
სამასი თავდადებული გლეხი;
იავნანამ რა ჰქმნა;
ერეკლე მეფე და ინგილო ქალი;
ჭეშმარიტი მოძღვარი.

გაუა-ფშაველა:

წიწილა;
ღმობიერი მონადირე და ირმის გონიერება;
შვლის ნუკრის ნაამბობი;
არწივი;
ია;
მთის წყარო;
ხმელი წიფელი;
მთანი მაღალნი;
დიდი თამარი.

სულხან-საბა ორბელიანი:

ორი ძმა;
თხა და მელა;
მელა მოძღვრად;
სოფლის მაშენებელი;
უკან მიდევნებული ლამპარი;
ხალიფა და არაბი;

აქლემი და ვირი.

დავით გურამიშვილი:

სწავლა მოსწავლეთა.

ილია ჭავჭავაძე:

დედა ჩიტი;

გაზაფხული;

ლოცვა;

ჩემო კარგო ქვეყანავ!

*** (გებრალებოდეს, ნუ რისხავ);

კაცია – ადამიანი?!

აკაკი წერეთელი:

ემაწვილი და პეპელა;

გაზაფხული;

ნათელას სიმღერა;

ციცინათელა;

დათუნა გოცირიძე;

ჩემი თავგადასავალი.

გიორგი ლეონიძე:

ეუმღერ სამშობლოს;

წიგნი „ქართლის ცხოვრება“;

„დედა ენა“;

არ დაიდარდო, დედაო...

ჩირიკი და ჩიკოტელა;

გალაკტიონ ტაბიძე:

მთვარის ნაამბობიდან;

მამული;

ცელი კივის;

წამყე ბეთანიისაკენ;

არწივებს ჩასძინებოდათ.

ჭარხალი;
ვწერ ვინმე მესხი მელექსე.

ღადღო ასათიანი:
ჩემი სამშობლო;
არ ვიცი ასე რამ შემაყვარა;
ბარდნაღა.

ანა კალანდაძე:
ყაყაჩოსა სიწითლითა;
ღრუბლები;
ფოთლები;
თქვი, ჭიამარია;
ჩამოფრინდები, იასამანო.

მუსრან მაჭავარიანი:
ღეღა;
მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა!
*** (ტა, ტა, ტა, ტა!)
ვითარცა მტკვარი;
ენა ქართული;
მრავალჭირვარამგაღანახადი;
რაშია საქმე?!

რევაზ ინანიშვილი:
ერეკლე მეფე და ანანურელი უღამაზოები;
მგლის მოკვლა;
ეთერი;
ღამაზი ცრემლები.

ნოდარ დუმბაძე:
ხაზარულა;
ჰელადოს;

მე, ბებია, ილიკო და ილარიონი.

ხალხური ზეპირსიტყვიერება

ზღაპარები;

გამოცანები;

ანდაზები;

მუმლი მუხასა;

მიწა თავისას მოითხოვს;

ჯარჯი;

შირაქის გზაზე;

თქმულება ამირანზე;

კოპალა და იახსარი.

******* ზემოთ ჩამოთვლილი საკითხავი მასალა ამოკრებილია მოცემული ასაკობრივი ჯგუფისათვის განკუთვნილი სხვადასხვა სახელმძღვანელოდან. ეს ჩამონათვალი, ბუნებრივია, სარეკომენდაციო ლიტერატურის არც სრული სიაა და არც შეუცვლელი. მასწავლებელმა მოსწავლეების დონისა და შესასწავლი ენობრივი საკითხ(ებ)ის გათვალისწინებით თავად უნდა შეარჩიოს ავტორებიც, ტექსტებიცა და მათი მოცულობაც. ამ შემთხვევაში ერთადერთი რეკომენდაცია შემდეგია: სასურველია, რომ საკითხავი მასალა შესასწავლ ენობრივ საკითხს მიესადაგებოდეს (იხ. I კვირის საკითხავი მასალა), ენისა და ლიტერატურის ინტეგრირება ეფექტური გზაა ორივეგან სასურველი შედეგის მისაღწევად.

რეკომენდებული ლიტერატურა მასწავლებელთათვის:

1. ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი, 2004.
2. შ. აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბილისი, 2002, 2007, 2009.
3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული მოცემული ასაკობრივი ჯგუფის შესაბამისი სახელმძღვანელოები.